თანამშრომელთა მოტივაციაზე მოქმედი ფაქტორები ელიტ ელექტრონიქსის მაგალითზე

ნათია ჯანიაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კურსის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ირინე გურული

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნათია ჯანიაშვილი

ნაშრომის წარდგენის თარიღი:

აბსტრაქტი

მოტივაციის მნიშვნელობა ორგანიზაციულ საქმიანობებში ჯერ კიდევ წინა საუკუნეებში იქცევდა ყურადღებას. მოტივაცია არის შინაგანი დამოკიდებულება, რომელიც მოქმედებს სამუშაოს უკეთ შესრულებაზე, შესაბამისად მის კვლევას დღემდე დიდი დრო ეთმობა და არაერთი ცნობილი მკვლევარი და მეცნიერი არის ჩართული კვლევის პროცესში. მოტივაციის გავლენა იმდენად დიდია კომპანიის წარმატებაზე, რამდენადაც თავად კომპანიის გამართულობა.

გაყიდვების სექტორში თანამშრომელი არის ადამიანი, რომელიც პირდაპირ კონტაქტზეა მომხმარებელთან, შესაბამისად მის მოტივაციაზე მოქმედი ფაქტორების განსაზღვრა და მოტივაციის ზრდა კომპანიის წარმატების საწინდარია.